

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/80 27 დეკემბერი 2011 წ.

პროფესიული სწავლების

დებულება

თბილისი  
2011 წ.

## 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. “გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი”-ს პროფესიული სწავლების (მე-4) საფეხური) დებულება (შემდგომში დებულება) განსაზღვრავს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში გთსუ) პროფესიული სწავლების მიზნებს, სწავლის პირობებს, სასწავლო პროცესს, მისი სუბიექტების უფლება-მოვალეობებს და პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭების წესს.
- 1.2. პროფესიული სწავლება არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და ბაკალავრიატში შემდგომი სწავლისთვის.
- 1.3. სწავლება ორწლიანია. სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.
- 1.4. პროფესიული სწავლების კურსდამთავრებულს კრედიტების დადგენილი რაოდენობის ათვისების შემდეგ ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა დიპლომი – საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. დიპლომს აქვს საიდენტიფიკაციო მარკენებლები, მასში ჩანაწერები სრულდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. დიპლომთან ერთად გაიცემა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ნიმუშის დიპლომის დანართი.
- 1.5. სტუდენტს, რომელსაც შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინებში (არანაკლებ 75%), საკვალიფიკაციო გამოცდებში ან საბაკალავრო ნაშრომის დაცვაში მიღებული აქვს შეფასება “A”, ხოლო დანარჩენ საგნებში არ აქვს მიღებული “B” –ზე ნაკლები შეფასება, ეძლევა დიპლომი “წარჩინებით”.
- 1.6. პროფესიული სწავლების საქმიანობა წარმართება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიული აქტებით, გთუ-ის შინაგანაწესით, ფაკულტეტის დებულებით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა შიდანორმატიული აქტებით.
- 1.7. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა წესრიგდება შესაბამისი კანონმდებლობით.

## 2. პროფესიული სწავლების მიზნები

- 2.1. პროფესიული სწავლების ძირითადი მიზნებია:
  - ა) სტუდენტის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია;
  - ბ) სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
  - გ) თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზებით კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა;
  - დ) პრაქტიკული მუშაობისათვის კადრების მომზადება;
  - ე) სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიული მომზადება, სასწავლო დისციპლინების პრაქტიკული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება. რაც ამზადებს პირს ბაკალავრიატში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.
- 2.2. პროფესიულმა სწავლებამ უნდა უზრუნველყოს სპეციალისტის მომზადება, რომელიც:
  - ა) ფლობს ზოგად განათლებაზე დაფუძნებულ სწავლის ამ სფეროსათვის დამახასიათებელ თანამედროვე ცოდნის ძირითად ასპექტებს;
  - ბ) აჩვენებს პროფესიონალურ მიდგომას თავის სპეციალობაში და აქვს პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
  - გ) მზად იქნება დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის;
  - დ) იქნება კონკურენტუნარიანი შრომის შიდა და გარე ბაზარზე;
  - ე) ფლობს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია სწავლის გასაგრძელებლად;
  - ვ) მზად იქნება პროფესიული სწავლების მქონე სპეციალისტისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობისათვის.

### 3. პროფესიული სწავლების ხელმძღვანელობა

- 3.1. პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამების საერთო კოორდინაციას და ხელმძღვანელობას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, რომელიც:

- ა) ამზადებს წინადადებებს ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მისაღები კონტინგენტის შესახებ;
- ბ) ამზადებს წინადადებებს სტუდენტის სტატუსის შეჩერების და აღდგენის, მობილობის წესით გადმოყვანის, სემესტრული და დამამთავრებელი ატესტაციის პროცედურების შესახებ;
- გ) ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს;
- დ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზებულად წარმართვას;
- ე) უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიურ (სასწავლო კურსების, მოდულების და სასწავლო გეგმების არჩევითობა) და ფინანსურ რეგისტრაციებს;
- ვ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დოკუმენტაციის წარმოებას;
- ზ) ორგანიზებას უკეთებს სტუდენტების საატესტაციო პროცედურებს: შუალედურ შეფასებებს, დასკვნით და საკვალიფიკაციო გამოცდებს, საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვას.

3.2. პროფესიული სწავლების პროგრამების რეალიზაციის პროცესში:

**პროგრამული მიმართულება (კათედრა):**

- ა) შეიმუშავებს პროფესიული პროგრამებს; განსაზღვრავს საკვალიფიკაციო ნაშრომების თემატიკას; წარუდგენს მათ ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად;
- ბ) უზრუნველყოფს პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებას;
- გ) უქმნის სტუდენტებს სასწავლო პირობებს.
- დ) შეარჩევს პარტნიორ ორგანიზაციებს.

**პროფესიული სწავლების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:**

- ა) მოქმედი სტანდარტების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს სასწავლო გეგმებს, საკვალიფიკაციო ნაშრომების თემატიკას; განსაზღვრავს საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელებს. განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე პერსონალს. პროგრამული მიმართულების (კათედრის) სხდომაზე განხილვის შემდეგ წარუდგენს მათ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად; აუცილებლობის შემთხვევაში სვამს საკითხს სასწავლო გეგმის კორექტირების შესახებ;
- ბ) აკონტროლებს სტუდენტების მიერ სასწავლო გეგმის შესრულებას და საკვალიფიკაციო ნაშრომების მომზადების პროცესს.

**საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი:**

- ა) საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს დარგის გამორჩეული სპეციალისტი
- ბ) ხელმძღვანელს უფლება აქვს ერთდროულად უხელმძღვანელოს არა უმეტეს 5 სტუდენტს;
- გ) საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოწვეული იქნას კონსულტანტი. სტუდენტის კონსულტანტს, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი
- დ) ხელმძღვანელობს საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებას;
- ე) მოქმედებს შესაბამისი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

**4. პროფესიული სწავლების სასწავლო პროცესის ორგანიზაცია**

**4.1. სწავლის ხანგრძლივობა**

4.1.1. უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების სწავლის სტანდარტული ვადაა ორი წელი და ხორციელდება დასწრებული ფორმით. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია ეფუძნება „კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემას“ (ECTS) და მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. განათლების აქცენტი გადატანილია არა მხოლოდ ცოდნის დაუფლებაზე, არამედ მის გამოყენებაზე, სწავლების შედეგებზე -

კომპეტენციებზე.

4.1.2. პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვებას.

4.1.3. სტუდენტებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დაასრულებენ პროგრამას, უფლება აქვთ თვითდაფინანსების გზით დაასრულონ იგი.

#### 4.2. სემესტრები

- 4.2.1. სასწავლო წელი გრძელდება 43 კვირა და იყოფა ორ სემესტრად: შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებად.
- 4.2.2. სესიები - დასკვნითი გამოცდების პერიოდი იწყება სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ.
- 4.2.3. დამატებითი გამოცდები ტარდება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, დასკვნითი გამოცდებიდან 10 დღის შემდეგ.
- 4.3. სასწავლო პროცესისადმი ორგანიზაციული მოთხოვნები განისაზღვრება პროფესიული პროგრამის საინფორმაციო პაკეტით (საგანმანათლებლო პროგრამით). საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ სასწავლო წლის დაწყებამდე.
- 4.4. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (ტიპური) შეიცავს სხვადასხვა მოდულებში განაწილებულ დისციპლინების სამ ჯგუფს:
- ა) დისციპლინების ჯგუფი, რომელთა შესწავლა სავალდებულოა დროში მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით;
  - ბ) დისციპლინების ჯგუფი, რომელთა შესწავლა სავალდებულოა მაგრამ არა განსაზღვრული თანმიმდევრობით;
  - გ) დისციპლინები, რომელთაც სტუდენტი შეისწავლის საკუთარი სურვილის მიხედვით.
- 4.9. სტუდენტმა უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურში და დეკანის აპარატში სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ფინანსური რეგისტრაცია).
- 4.10. ფაკულტეტის დეკანი საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას სტუდენტების აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის შესახებ. სტუდენტის მიერ ფინანსური რეგისტრაციის გაუვლელია წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველს.
- 4.11. მიმდინარე სასწავლო წლის საატესტაციო გამოცდების (საგაზაფხულო სესიების) შედეგებით, დეკანის წარდგინებით გამოცემული რექტორის ბრძანებით, ხორციელდება სტუდენტების დაშვება პროფესიული პროგრამის შემდეგ ეტაპზე.
- 4.12. **სტუდენტის სემესტრული შეფასება.**  
სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში დისციპლინის ათვისების ხარისხი მოწმდება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემით და განისაზღვრება 100 ქულით;
- 4.13. სტუდენტი ვალდებულია განმეორებით შეისწავლოს დისციპლინა, რომელშიც სემესტრული შეფასებაა “F”. არსებობს აღნიშნული დისციპლინის განმეორებით შეწავლის ორი შესაძლო ვარიანტი:
- ა) მომდევნო სემესტრების განმავლობაში ძირითადი პროგრამის გავლის პარალელულად;
  - ბ) საზაფხულო კურსებზე.
- 4.14. სასწავლო კურსის (დისციპლინის) განმეორებითი შესწავლა სტუდენტს აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას, რომლის ოდენობას განაპირობებს, სასწავლო გეგმის მიხედვით, დისციპლინაზე მიკუთვნებული კრედიტების რაოდენობა. სახელდობრ, კრედიტების რაოდენობა მრავლდება ერთი კრედიტის ღირებულებაზე. ეს უკანასკნელი განისაზღვრება მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის ერთი წლის სწავლების ღირებულების გაყოფით 60-ზე (წლის განმავლობაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა)..
- 4.15. სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით ორჯერ შეისწავლოს დისციპლინა.
- 4.16. სტუდენტს უფლება აქვს, სემესტრული შეფასების ამალგების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გადააბაროს 3 სასწავლო კურსი (დისციპლინა).
- 4.17. **სწავლის საფასური**
- 4.17.1. სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის ფინანსური რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
  - 4.17.2. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელის სწავლის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასწავლო გრანტის

ოდენობასა და სწავლების გადასახადს შორის სხვაობის გათვალისწინებით;

- 4.17.3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასური;
- 4.17.4. დამატებით სემესტრებში სწავლის საფასური განისაზღვრება ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, არჩეული საგნების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად;

- 4.17.5. სტუდენტი, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში არ მოითხოვს ფინანსური რეგისტრაციის გაუქმებას, სტუდენტის სტატუსის გაუქმების ან შეჩერების შემთხვევაში, კარგავს თანხის დაბრუნების ან მომდევნო სემესტრებში მისი გამოყენების მოთხოვნის უფლებას.
- 4.18. **სტუდენტის დაფინანსების წყარო:**  
 4.18.1. სახელმწიფო სასწავლო გრანტი  
 4.18.2. სოციალური დაფინანსება - (განათლების სამინისტრო და თბილისის მერია) და სხვა;
- 4.19. **სასწავლო პროცესის მართვის სისტემით სარგებლობა**
- 4.20. სტუდენტს, რომელიც დაშვებულია სისტემაში, ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან შეუძლია შევიდეს უნივერსიტეტის მართვის სისტემის ვებ-გვერდზე საკუთარი სახელის, გვარისა და პაროლის მითითებით.
- 4.21. სტუდენტი პაროლს იღებს ფინანსური რეგისტრაციის დროს.
- 4.22. პაროლის აღსადგენად სტუდენტს შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
- 4.23. კომპიუტერით სარგებლობა შესაძლებელია უნივერსიტეტის კომპიუტერულ ლაბორატორიებში და ბიბლიოთეკაში.
- 4.24. სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეიძლება შემდეგი მომსახურებით სარგებლობა:
- 4.25. სასწავლო ბარათი: სტუდენტს შეუძლია ნახოს მიღებული შეფასებები და დაგროვილი კრედიტები.
- 4.26. სასწავლო პროგრამა: სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ სპეციალობათა ნუსხას, მოკლე ინფორმაციას თითოეული სპეციალობის შესახებ და შესაბამის დისციპლინათა ჩამონათვალს.
- 4.27. სილაბუსი: სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ სასწავლო კურსების სილაბუსებს.

## 5. სტუდენტის დასკვნითი ატმოსტაფია

- 5.1. დამამთავრებელ ეტაპზე სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია დასკვნითი ატმოსტაფია - სპეციალობაში საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა.
- 5.2. სწავლების ბოლო წელს, საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების დაგროვების შემდეგ, სტუდენტი იცავს საკვალიფიკაციო ნაშრომს. რომელიც განსაზღვრავს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს მოცემულ სპეციალობაში. პროგრამას ამუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამული მიმართულების (კათედრის) სხდომაზე განხილვის შემდეგ ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
- 5.3. უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ვიზუალური და წერილობით სახით.
- 5.4. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე სამი თვით ადრე სტუდენტისათვის ცნობილი უნდა იყოს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა და პროგრამით გათვალისწინებული თემატიკა.
- 5.5. დასკვნითი ატმოსტაფიის ჩასატარებლად, თითოეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამისთვის, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით იქმნება საკვალიფიკაციო კომისია; საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში, ძირითადი სპეციალობების მიხედვით, ფორმირებული უნდა იქნას დროებითი დარგობრივი საგამოცდო კომისიები.
- 5.6. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში დასაშვებია კომისიის წევრების დამსაქმებელი და პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოწვევა, ამასთან მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა ნახევარს.
- 5.7. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობის განრიგი, გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე.



- 5.8. საკვალიფიკაციო კომისია უფლებამოსილია დაიწყოს გამოცდა, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა რაოდენობის 2/3-ზე მეტი..
- 5.9. დასკვნით ატესტაციაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სტუდენტები, რომელთაც დააგროვეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა. დასკვნით ატესტაციაზე სტუდენტის დაშვება, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, ფორმდება რექტორის ბრძანებით. საკვალიფიკაციო კომისიას გამოცდების დაწყებამდე

წარედგინება გამოცდაზე დაშვებული სტუდენტების სია და ცნობა თითოეული სტუდენტის მიერ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში მიღებული შეფასებების შესახებ.

- 5.10. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები კომისიის დახურულ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე ფასდება უნივერსიტეტში დადგენილი შეფასების სისტემის მიხედვით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თავმჯდომარის ხმას.
- 5.11. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე ფორმდება კომისიის სხდომის ოქ-  
ტის იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების და სახელმწიფო ნიშნის დიპლომის (დანართან ერთად) გაცემის შესახებ. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად თუ მას ღია კენჭისყრით მხარი დაუჭირა სხდომაში მონაწილე წევრთა ორ მესამედზე მეტმა. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა. მიმართულებაზე ყველა საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგები ფორმდება კომისიის დასკვნითი ოქმით.
- 5.12. საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები ცხადდება იმავე დღეს, სხდომის დამთავრების შემდეგ.
- 5.13. სტუდენტს, რომელმაც საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიიღო შეფასება Fx (“ვერ ჩააბარა”) ან დადგენილ ვადაში არ ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდა, უფლება აქვს 3 თვის შემდეგ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, გავიდეს მორიგ საკვალიფიკაციო გამოცდაზე. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის ხარჯები, უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით, დაეკისრება სტუდენტს.
- 5.14. სტუდენტს, რომელმაც საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიიღო შეფასება F (“ჩაიჭრა”), უფლება აქვს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, სპეციალობის საგნებში კონსულტაციების (მოსამზადებელი კურსების) გავლის შემდეგ გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე. კონსულტაციებისა და განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის ხარჯები, უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით, დაეკისრება სტუდენტს.
- 5.15. საპატიო მიზეზით საკვალიფიკაციო გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს 3 თვის შემდეგ, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, გამოცდის ხარჯების გადახდის გარეშე, განმეორებით გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე.
- 5.16. არასაპატიო მიზეზით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო 5 წლის განმავლობაში, განმეორებით გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე. საკვალიფიკაციო გამოცდის ხარჯები, უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით, დაეკისრება სტუდენტს.
- 5.17. სტუდენტს, რომელიც განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიიღებს უარყოფით შეფასებას (Fx ან F), ან თუ მომდევნო 5 წლის განმავლობაში ვერ შეძლებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას, უფლება აქვს ხელახლა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობა და გავიდეს დასკვნით ატესტაციაზე. აღნიშნული კრედიტების დაგროვებისთვის აუცილებელი სწავლის ღირებულება განისაზღვრება იმ დროისათვის მოქმედი ტარიფის მიხედვით - საგანმანათლებლო პროგრამის სრული ღირებულების მეოთხედით.
- 5.18. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა განისაზღვრება იმ სასწავლო გეგმით, რომელიც მოქმედებდა სტუდენტის სწავლების დროს.
- 5.19. სტუდენტი, რომელიც არ იქნა დაშვებული საკვალიფიკაციო გამოცდაზე ან ვერ მიიღო დადებითი შეფასება გამოცდაში (საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაში), სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მოწმობა (აკადემიური ცნობა) დისციპლინების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით. ფინანსური და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

## 6. სპეკულიზაციური ნაშრომის დაცვა

- 6.1. საკვალიფიკაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე<sup>1</sup>.
- 6.2. საკვალიფიკაციო ნაშრომის ზომას, ფორმატს, სტილს, წარდგენის ვადებსა და პირობებს, შეფასების კრიტერიუმებს, კომისიის არჩევის წესსა და დაცვის პროცედურას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.
- 6.3. დასკვნითი ატესტაციის ფორმად საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. პარალელურად ფაკულტეტის საბჭო, შესაბამისი პროგრამული მიმართულების წარდგინებით ამტკიცებს საკვალიფიკაციო ნაშრომების თემატიკას და ხელმძღვანელებს.
- 6.4. საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საკვალიფიკაციო კომისიის სხდომაზე. საკვალიფიკაციო კომისიაზე წარსადგენად ნაშრომმა უნდა გაიაროს ექსპერტიზის შემდეგი საკვალდებულო ეტაპები:
  - ა) საკვალიფიკაციო ნაშრომზე ხელმძღვანელის დასკვნა;
  - ბ) პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი რეცენზენტის დასკვნა
- 6.6. საკვალიფიკაციო კომისიაზე დასაცავად სტუდენტს გამოაქვს დადგენილი წესით გაფორმებული საკვალიფიკაციო ნაშრომი.
- 6.7. საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის თარიღამდე არანაკლებ 1 თვისა, წერილობითი დასკვნის მისაღებად, სტუდენტი ნაშრომის საბოლოო ვარიანტს წარუდგენს ხელმძღვანელს.
- 6.8. ხელმძღვანელი ვალდებულია 1 კვირის განმავლობაში გააცნოს სტუდენტს, წარუდგინოს პროგრამული მიმართულების (კათედრის) ხელმძღვანელს და საკვალიფიკაციო კომისიას წერილობითი დასკვნა. ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საკვალიფიკაციო ნაშრომი დაცვაზე არ დაიშვება.
- 6.9. საკვალიფიკაციო ნაშრომზე ხელმძღვანელის დასკვნაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული: ნაშრომის მოკლე დახასიათება, თემის აქტუალობა, თეორიული დონე და პრაქტიკული მნიშვნელობა, ნაშრომის შინაარსობრივი შესაბამისობა სპეციალობასთან, დაბოლოს, შეფასება ნაშრომის დაცვისათვის მზადყოფნის შესახებ.
- 6.10. ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის გამოყოფს რეცენზენტს, ნაშრომის შესაბამისი პროფილის თვალსაჩინო წარმომადგენელს.
- 6.11. საკვალიფიკაციო ნაშრომი რეცენზენტს უნდა გადაეცეს დაცვამდე 3 კვირით ადრე მაინც. რეცენზენტი ვალდებულია ნაშრომზე რეცენზია, დამოწმებული სათანადო ბეჭდით წარუდგინოს საკვალიფიკაციო კომისიას და გააცნოს ავტორს დაცვამდე ერთი კვირით ადრე მაინც.
- 6.12. უარყოფითი რეცენზია არ წარმოადგენს ნაშრომის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.
- 6.13. საკვალიფიკაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში რეცენზენტი დასკვნას წინაწარ აცნობებს პროგრამულ მიმართულებას (კათედრას), რომელმაც შეიძლება გამოყოს მეორე რეცენზენტი. ამ შემთხვევაში დაცვის პროცედურაში მონაწილეობას მიიღებს ორივე რეცენზენტი და ხელმძღვანელი.
- 6.14. საკვალიფიკაციო ნაშრომზე ექსპერტიზის ყველა აუცილებელი ეტაპის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორი გამოცემს ბრძანებას საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ (სტუდენტების სიის, საკვალიფიკაციო ნაშრომების ჩამონათვალის, დაცვის თარიღის, დროს და აუდიტორიის მითითებით). აღნიშნული ბრძანება უნდა გამოიკრას ფაკულტეტის სინფორმაციო დაფაზე, გამოქვეყნდეს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდებზე;
- 6.15. საკვალიფიკაციო კომისიის თითოეულ სხდომაზე არ შეიძლება 10 საკვალიფიკაციო ნაშრომზე მეტის დაცვა; დღის განმავლობაში დასაშვებია საკვალიფიკაციო კომისიის ორი სხდომის ჩატარება;
- 6.16. საკვალიფიკაციო კომისია ხმათა უმრავლესობით ახდენს ნაშრომის შეფასებას უნივერსიტეტში დადგენილი შეფასების სისტემის მიხედვით.
- 6.17. საკვალიფიკაციო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრე წევრების

რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც. საკვალიფიკაციო კომისიის წევრების დასწრება მათი თანამდებობების და აკადემიური ხარისხის მითითებით ასახული უნდა იყოს სხდომის ოქმში.

---

<sup>1</sup> გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძლება მიეცეთ საკვალიფიკაციო ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების უფლება.

- 6.18. საკვალიფიკაციო კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას.
- 6.19. სხდომის დასრულების შემდეგ კომისია აფასებს საკვალიფიკაციო ნაშრომს და იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭების და სახელმწიფო ნიშუმის დიპლომის (დანართან ერთად) გაცემის შესახებ. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად თუ მას ღია კენჭისყრით მხარი დაუჭირა სხდომაში მონაწილე წევრთა ორ მესამედზე მეტმა. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.
- 6.20. პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში დასკვნის სახით აისახება ნაშრომის სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ასეთი დასკვნის მიღება საჭირო არ არის.
- 6.21. საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნაშრომის დაცვის, შესაბამის სპეციალობაში კვალიფიკაციის მინიჭების და სახელმწიფო ნიშუმის დიპლომის (დანართან ერთად) გაცემის შესახებ, ფორმდება რექტორის ბრძანებით ყველა სპეციალობაზე საატესტაციო პროცედურების დამთავრების შემდეგ.
- 6.22. სტუდენტს, რომელმაც ნაშრომის დაცვაში მიიღო შეფასება FX (“ვერ ჩააბარა”), უფლება აქვს 3 თვის შემდეგ, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, წარუდგინოს საკვალიფიკაციო კომისიას იგივე საკვალიფიკაციო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია, უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვითონ დააფინანსოს საკვალიფიკაციო ნაშრომის განმეორებით დაცვა.
- 6.23. სტუდენტს, რომელმაც საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაში მიიღო შეფასება F (“ჩაიჭრა”), უფლება არ აქვს განმეორებით წარუდგინოს საკვალიფიკაციო კომისიას იგივე საკვალიფიკაციო ნაშრომი. ასეთ ვითარებაში სტუდენტი უფლებამოსილია, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, იმ დროისათვის მოქმედი ტარიფის მიხედვით გადაიხადოს საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულების მეოთხედი, შეასრულოს ახალი საკვალიფიკაციო ნაშრომი და გატანოს იგი დაცვაზე.
- 6.24. სტუდენტს უფლება აქვს საპატიო მიზეზის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაცვიდან მოხსნას საკვალიფიკაციო ნაშრომი. ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს, დამატებითი ხარჯების გარეშე, რექტორის მიერ განსაზღვრულ დროს, საკვალიფიკაციო კომისიის მორიგ სხდომაზე დაიცვას ნაშრომი.
- 6.25. არასაპატიო მიზეზით საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო 5 წლის განმავლობაში, რექტორის მიერ განსაზღვრულ დროს, საკვალიფიკაციო კომისიის მორიგ სხდომაზე დაიცვას საკვალიფიკაციო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია, უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვითონ დააფინანსოს საკვალიფიკაციო ნაშრომის განმეორებით დაცვა.
- 6.26. განმეორებით დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, კვალიფიკაციის მოსაპოვებლად იმავე ნაშრომის წარდგენა დაუშვებელია. ასეთ ვითარებაში სტუდენტი უფლებამოსილია, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, იმ დროისათვის მოქმედი ტარიფის მიხედვით გადაიხადოს პროფესიული პროგრამის ღირებულების მეოთხედი, შეასრულოს ახალი ნაშრომი და გაიტანოს იგი დაცვაზე.
- 6.27. სტუდენტს, რომელმაც დადგენილ ვადებში არ წარმოადგინა საკვალიფიკაციო ნაშრომი, უფლება აქვს 1 წლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის განმავლობაში, კონსულტაციების გავლის შემდეგ, წარუდგინოს საკვალიფიკაციო კომისიას ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული საკვალიფიკაციო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია, უნივერსიტეტში დადგენილი წესით და ოდენობით თვითონ დააფინანსოს კონსულტაციები და ნაშრომის განმეორებით დაცვა.
- 6.28. დაცვის შემდეგ ერთი თვის ვადაში ფაკულტეტი ვალდებულია საკვალიფიკაციო ნაშრომი გადასცეს არქივს.
- 6.29. **სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები**
- 6.29.1. პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს უნივერსიტეტი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე.

6.29.2. მინიჭებულ კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული სახელმწიფო ნიშნის დიპლომი, რომელსაც თან ერთვის სტანდარტული დანართი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**7. საბანამანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს:
- ა) ძირითადი სპეციალობის კრედიტების დასაგროვებლად ისარგებლოს მობილობის წესით;
  - ბ) გააგრძელოს სწავლა პარტნიორ უნივერსიტეტებში, რომლებთანაც გაფორმებულია მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
  - გ) გადავიდეს სხვა უნივერსიტეტში.

#### **8. პროფესიული სწავლების დებულების ძალაში შესვლა**

პროფესიული სწავლების დებულება ძალაში შედის აკადემიურ საბჭოზე მისი მიღებისა და წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცების შემდეგ.